სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/18

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2019

სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე „ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 7თებერვლის №01-05-04/15 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 22 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნას „ჩინეთის კვლევების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**